

572 /
1986

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՆՈՒՅՆԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ

1986 ՎԱՅՆԱԳՐՈՒԹՅԱՆ № 8


ԳՆԱԿ





მამული

ეს ფერადი მინდვრები,
ეს ნახტი ჭალები,
მკერდზე უეუაჩოები
ცეცხლად რომ გასწენათ,
მარადმწვანე ქედები,
მთები დათოვლილები,
ბორცვია თუ ტაფობი,
ხვევა თუ ფშანია,
ამერი და იმერი
აღმართით და დაღმართით,
მიწა—ასითასჯურ
სისხლით გაღანამული,—
კარგად დაიმახსოვრე,
კარგად დაიმახსოვრე,
კარგად დაიმახსოვრე—
არის შენი მამული.
დიდი წიგნი რუსთველის,
დედაგან ქართული,
განმი, რაც შეუქმნია
ჩვენი ხალხის გენიას—
ტაძრები და კოშკები,
ქალაქები, სოფლები,
არის ახლად ნაკები
თუ ძალიან ძველია,
ჩაიფორინე გულშიაც,
ჩაიფორინე სულშიაც,
მერე ვაივაგლასად
გვერდს ნურაფერს აუვლი,
გაუფრთხილდი, მვირფასო,
მართლაც თვალისწინივით,
რადგან ეს ვეველაფერი
არის შენი მამული.



მხატვარი: ლალი ლომთაძე

თეგას ნიჰნი



როგორ დავირძვი
სახელი

დედა ლელამ და მამა დათომ თენგიზი დამარქვეს.

შარშან ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ამიტომ, როცა მეკითხებოდნენ, რა გქვიაო, ვეუბნებოდი:

— თეგა!

ასე დავირქვი სახელი.

მართალია, თენგიზი მევია, მაგრამ თეგას მეძახიან, რადგან მე თვითონ დავირქვი.

დედა მეუბნება, თენგიზს მამის დაგვიძახებ, როცა გაიზრდებიო.

ახლა ყველა თეგას მეძახის:

— თეგა! თეგა!

მე მიხარია, რადგან ეს სახელი თვითონ დავირქვი!

ჯერ სოფელში არ ვყოფილვარ. სოფელი თურმე პატარა ქალაქია, ქალაქი კი — დ-ი-ი-ი-ი-ი სოფელი!

სოფელში თურმე ცხოვრობენ შინაური ცხოველები: ძროხა, ბუკეკა, წინილები, დიდი ღორი და საშიში ინდაური.

დილით თურმე მამლები ყვიან.

სოფელში ტროლეიბუსი და ტრამვაი არ დადის.

სამგიეროდ, მდინარე ყოფილა. მდინარეში შეიძლება ჭყუმპალაობა.

სოფელში თურმე ბალახია, ქალაქში კი — ასფალტი.


ძალიან მინდა სოფლის ნახვა.

ბაბუამ თქვა, ყველა ჭკვიანი კაცი სოფელში გაიზარდაო.

ბებომ უპასუხა, რომ უქალაქოდ მათ სიტკვიანეს ვერავენ შეამჩნევდარო.

ქალაქი კარგია, მაგრამ მაინც ძალიან მინდა სოფლის ნახვა!

8081



ბ. შინკაძე
სს. სს. ჯეჯეა
სოფელი



ჩვენი აიენის წინ დგას ხე. მას შქვია ჭადარი.

ჭადარს აქვს მწვანე ფოთლები და რუხი ფერის ნაყოფი.

ზამთარში ჭადარს თურმე ფოთლები სცვივა. ახლა ზაფხულია და ეს მე არ მახსოვს. როცა ქარი დაუბერავს, ჭადარი შრიანდება.

ჭადრის ჩრდილში გრილა. ეს ჭადარიც ხეა, ის ნაძვიც ხეა, ვაკის პარკში კაკალიც — ხეა.

ყველა ხეებია, სახელები კი სხვადასხვა შქვიათ.

ყველა ადამიანია, მაგრამ სახელები სხვადასხვა აქვთ — გოგი, თამრიკო, ნაზიკო, ნიკუშა...

დედაც ადამიანია და ორი სახელი შქვია: დედა და ლლა.

ეს ხე ჭადარია, ის — ნაძვი, ის კიდევ — კაკალი.

უპ, დავიღალე ამდენი ფიქრით!

მზიური

ძალიან მიყვარს „მზიური“. დილით დედა რომ მეტყვის, „მზიურში“ ნავალთო, ვეღარ ვისვენებ — მინდა ჩქარა ნავიდეთ!

„მზიურში“ ბევრი გასართობია. ყველაზე კარგი კარუსელია.

იქ არის ჩიპოლინო.

იქ არიან ყვავები.

იქ არის ბეჭემოტი.

იქ მოდის ბევრი ბავშვი.

იქ არის წყლის გუბე, ფეხი რომ უნდა ჩავკრა!

იქ ყიდიან ნაყინს და ტკბილ წყლებს.

შინ მითხრეს, რომ „მზიური“ ნოდარ ღუმბაძის თხოვნით გააშენეს.

— რატომ? — ვეკითხები.

— ნოდარ ღუმბაძეს ძალიან უყვარდა პატარა ბავშვები.

— ვინ იყო ნოდარ ღუმბაძე? — ვკითხულობ.

— ნოდარ ღუმბაძე იყო დიდი მწერალი, — მეუბნება ჩემი ბაბუ.

მე მიყვარს „მზიური“ და ნოდარ ღუმბაძე!

ჩქარა წამიყვანეთ „მზიურში“!



ათამდე თვლა სულ ადვილია.

აბა, მისინეთ:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ოთხი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი!

ყველას გაეცინა.

ეტყობა რალაც შემეშალა!

სად შემეშალა?

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

მე ქართველი ვარ

მე ვარ ქართველი.

„მიზორში“ რომ ირინა გავიცანი, რუსია.

ჩვენს ეზოში რომ გარიკა დარბის, სომეხია.

ირინას რომ ეზოში მოიყვანენ, სამივენი ერთად ვთამაშობთ.

ირინა ჩემზე ერთი წლით პატარაა, გარიკა ჩემზე ერთი წლით დიდი, მე კი სამი წლის ვარ.

ირინა რომ პირველად ვნახე, ცხვირზე ვუკბინე. კოცნა მინდოდა და ვუკბინე. ირინა აღრიოლდა.

მერე შევერიგდით.

ახლა ვიცო, რომ კბენა არ შეიძლება. მხოლოდ ლოყაზე უნდა ვაკოცო.

პირველად გარიკამ მანქანა წამართვა.

მე ავლრიოლდი.

ახლა მან იცის, რომ მანქანის წართმევა არ შეიძლება, უნდა მთხოვოს.

ირინას ახალი თოჯინა ვაჩუქე, მე ხომ ვერ ვიტან თოჯინებს — წრიპინებენ!

მე ქართველი ვარ და კეთილი ბიჭი უნდა ვიყო...

ჩიტი მოკვდა

რატომ მოკვდა ჩიტი?

რას ნიშნავს, მოკვდა?

აი, გღია ბალახში და ველარ დაფრინავს.

რომ ველარ დაფრინავს, ეს არის „მოკვდა“?

საწყალი ჩიტი ველარ დაფრინავს.

მოკვდა.

ჩიტი უნდა დაფრინავდეს!

ჩიტი არ უნდა მოკვდეს!

არავინ არ უნდა მოკვდეს!

საწყალი ჩიტი ველარ დაფრინავს.

მოკვდა.

ერთხელ ზლაპარი მიაბმეს და „სხსხსხს“

„ცხრათვალა მზე“.

დილით რომ ავდექი, გამახსენდა —

„ცხრათვალა მზე“.

მე ორი თვალი მაქვს, მზეს ცხრა ჰქონია.

გავედი აივანზე და შევხედე მზეს, მინდოდა მისი ცხრა თვალის დანახვა.

შევხედე, მაგრამ ნეტა არ შემეხება!

ვერაფერი დავინახე.

ველარც მზე.

თვალთ დამიბნელდა.

ოთახში რომ შევირბინე, იქაც ვერაფერი დავინახე.

შემდეგ თანდათან განათდა, მზერა დამიბრუნდა, მაგრამ თვალეები ამუნვა.

ალბათ ტყუილია, რომ მზეს ცხრა თვალი აქვს.

ვინ შეხედავდა მზეს და ვინ დაითვლიდა მის თვალებს?

ალბათ ვერავინ.

ან იქნებ მართლაც ცხრა თვალი აქვს და ამიტომაც დამიბნელა ჩემი ორი თვალი?

მზეს თვალეებში აღარ შევხედავ. იყოს თავისთვის და ანათოს. მეც ჩემთვის ვიქნები.

მაინც რამდენი თვალი აქვს მზეს? მე ვფიქრობ, რომ მზეს აქვს ერთი დიდი თვალი.

ამის დანახვა მაშინ მოვასწარი...



პაპა ხათოსო

ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო,
ჩვენში ერთი პაპა იყო—
დიდ-პატარა სახალისოდ
ეძახოდა პაპა ხათოსოს.
ჩახმახი სულ წკიპზე ჰქონდა,
მაგრამ მარტო ძველს ესროდა.
წაღდი ჰქონდა გაბასრული
და სასხლავი ერთი ციდა;
ტუისთვის ეღვა პაპას სული,
ტუეში მარტო ხმელ ტოტს ჭრიდა.
ტუეს უვლიდა, ტუეს იცავდა,
მის ზრუნვაში აღამებდა,
ნორჩ ხეს თვლიდა,
ხმელ ფინჩს წვაუდა,
ტუის შრიალი ახარებდა.
ერთხელ ბეძმა არ დაინდო,
ვერაფერმა დაიფარა,
მუხის ძირას თავი მიდო,
ძილში ჩუმად გაიპარა.
დილით აღარ იყო ხათოსო —

ბევრჯერ სხვების გადაძინენი,
ტუე ატირდა: სად არისო,
სად არისო პაპაჩვენნი.
ტუემ ცრემლები დაფრქვიან,
მერე მოჰგვა დარდით ჭანანს.
ნედლ ფოთლებში გაასვია
და ღრმად გულში ჩაიმარხა...
და მის მერე დღით არ ჩნდება,
ხათოსო მხოლოდ ღამით დადის.
ძველებურად თავს ევლებს
მძინარე ტუეს პაპას ლანდი.
თავს არ მიდებს ხესთან წამით,
მაგრამ დუმს, ვით ქვა და ლოდი.
როცა ფინჩი ტუდება ღამით,
ტუე შრიალებს:—პაპა მოდის!
როცა ციდან მთვარე ბადრი
გზას უნათებს ტუეში ნიაფს—
ტუე ჩურჩულებს:—პაპა დადის
და ნურაფრის გვეშინავს.
დღესაც უვება მასზე ზღაპარს
მუნაა თუ მოცხარია,
აღარ არის ჩვენთვის პაპა,
მაგრამ ტუისთვის ცოცხალია.

ზვინი



— გამარჯობა, ძია გიორგი! — ჭიშკარს სანდრიკა მოადგა და ეზოში მოფუსფუსე მეზობელს შეეხმინა. გიორგის მაჯები დაეკაინენინა და სასიმინდესთან, ღობის გასწვრივ, ზვინს დგამდა. გაშლილ თივას ფინალს დაბაჯუნდა, თივიანად თავს ზემოთ გადაიტარებდა და სიფრთხილით ჩამოაგებდა თივას სარს. სანდრიკა რომ დანახა, ფინალი დაბლა დაუშვა, შუბლიდან ოფლი მოიწკრიტა, ფინლის ტარს მაჯებით დაენდო და კუტკარში გახიდულ ბიჭს თბილად გაუღიმა.

— კაი გამარჯვება, მეზობელო, შემოდი კაცო, რა შორიდან მესალმები?

სანდრიკამ მძიმედ გადმოაბოტა დირეს და აუჩქარებლად გამოეშურა გიორგისაკენ. ფართხუნა, ფართოტოტებიან შარვალს მიწაზე სასაცილოდ მიათრევდა.

— რას აკეთებ, ძია გიორგი?

— რასა და თივის ზვინსა ვდგამ, ზამთრისათვის გამზადებ! — მიუგო გიორგიმ და საქმე განაგრძო. ზვინი ნელ-ნელა მალღებოდა და გიორგის უჭირდა ზედ თივის შემოდება.

— ნეტავ სად წაჩერჩეტდა ის ბალღი? — ჩაიბუზღუნა მან და ორღობეს გახედა, — პატარას მაინც წამეშველებოდა, თორემ იმ სიმაღლეზე ვინმე თუ არ ავიდა, ნამდვილად გამიჭირდება თივის შემოდება. არადა, მგონი წვიმას აპირებს და გაოხრდება კიდევ ეს თივა! — გიორგიმ ჯერ ცას ახედა, მერე გაშლილ თივას გადაავლო თვალი და კეფა მოიქექა.

— მერედა, იმ სიმაღლიდან ჩამოსვლა არ გინდა? — უცებ იკითხა სანდრიკამ.

— ჩამოსვლას რა უნდა! აგერ, ხედავ სარის წვერზე გამოზმულ თოკს? — ხელი გაიწვირა გიორგიმ თოკისაკენ.

— ვხედავ, — თავი დაქნია სანდრიკამ.

— ჰოდა, თივა რომ წვერამდის ავა, ვინც ზემოთ შემორჩება, იმ თოკს მოეჭიდება, ფეხებს ზვინს მიაბაჯუნს და მძიმე-მძიმედ დაბლა დაეშვება!

სანდრიკამ თვალით აზომ-დაზომა ზვინის სიმაღლე, როგორღაც შეიშმუნა და ჩაილაპარაკა:

— ძია გიორგი, ვახო თუ არ მოვა, მე აქ არა ვარ?

— შეენ? — მუსტრის თვალით შეათვალიერა გიორგიმ ბიჭი, — ვითომ არ გაგიჭირდება?



— რათ უნდა გამიჭირდეს, განა კიდევ პატარა ვარ რო? — ჩაჩაჩული შარვალი აიქაჩა სანდრიკამ.

— მაშინ აგერ ის ფინალი აიღე! — გიორგიმ ლობეზე მიყუდებულ ფინალზე ანიშნა ბიჭს. — ზვინზე აძეერი, მე თივას ამოგანე-



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

დი; შენ კიდევ სარის გარშემო, აქეთ-იქით, დინჯად დააწყე ხოლმე!

გიორგიმ სანდრიკას ზვინზე ასვლაში ნახე მარა და საქმე უფრო მარდად წავიდა.

სულ მალე ზვინი ისე ანონოლიკდა, რომ გიორგის თივის მიწოდება გაუჭირდა.

— ვაჰ, რა მალლა ხარ ბიჭო! ველარცა გნედები, აი. ცოტაც და მოვრჩებით კიდევც. დამაცა, გოდორზე შევდგე!

ის იყო, გიორგიმ ფინალით ბიჭს თივა აანოდა, რომ ლობეს ზალიკოაანთ შაქრო გადმოადგა და დაიძახა:

— შინა ხარ, გიორგი? ბიჭო, შენს ვენახს საქონელი შესვეია, წამო, გამოვრეკოთ, თორემა ისე გაგჩინაგებენ ის ვერანები, რომ ველარ იცნობ!

— საქონელიო? — შეიცხადა გიორგიმ, ფინალი ცივად მიავლო და ეზოდან აღმოდებულივით გაენთო.

სანდრიკა სახტად დარჩა. გაჰყურებდა ორლობეში გამალეებით მიმავალ გიორგის და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მასაც მიეტოვებინა ზვინი თუ საქმე განეგრძო. მაგარამ როგორ? რანაირად? მარტოს რა შეეძლო? არადა, ეგრე მიტოვებაც არ შეიძლებოდა. სანდრიკა ზვინზე მოკალათდა და ჩაფიქრდა. უეცრად ისე ძლიერად დაიგრუსუნა, რომ ირგვლივ ყველაფერი ააზანზარა. სანდრიკა წამოდგა, ცას ახედა. ცას პირი შეეკრა და სანვიმრად ემზადებოდა. სადღაც კვლავ გაჰკვესა და მერე გრუსუნმა მუქარით გადაუარა სანდრიკას თავზე.

— ერიჰა! ეს აღარ ხუმრობს! — თქვა ბიჭმა, თოკს ნაეპოტინა, ზვინიდან ნელ-ნელა დაეშვა და ორლობეში გავარდა.

— აღმასხა-ან! — მიადგა ერთ-ერთი ეზოს ქიშკარს. არავინ გამოხმარებია.

— ნუგზა-არ, ბიჭო! — არც აქ დახვედრია ვინმე. თითქოს პირი შეკრესო, ისე გაკრფილიყვენ ბიჭები ეზოდან.

ბოლოს ბესო მოიხელთა შინ და სხაპასუპით აუხსნა მოსვლის მიზეზი.

— ნაეიდეთ რა! — დაყაბულდა ბესიკი.

სანდრიკა კვლავ ზემოდან მოექცა ზვინს და საქმეც გაიჩარხა. მორჩენენ თუ არა ბიჭები ზვინის დადგმას, წამოწვიმა კიდევც.

გიორგის გზად წამოენია წვიმა და გულს შემოეყარა. ამდენი თივა რა ტყუილად მიოხრდებო. ეზოში უნიათოდ შეაბოტა. სასიმინდეს გასცდა და მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვაგდა.

— ყოჩაღ, ბიჭო, — შევებით ჩაილაპარაკა გიორგიმ, — მართლაც დავაჟაკებულა ის ბიჭი და ეგ არის!

არაფერა—ბარაქქლა!

ატრაბახდა გელა ბიჭი,
რომ მიუჯდა გამთბარ კერას:
— სვალ ბეგრ შუასან მეც დაფიქსაფ,
შემოვიტან ღერაღერა!
სვალ დივბარაფ, სვალ გაუთონი,
სვალ გაურეცხაფ, სვალ გაფკერაფ,
ხუთიანებს სვალ მოვიტან,
სვალ ვისწავლი კარგ სიმღერას.
— ფველაფერს სვალ როგორ შეძლებ?
სწავლას,
შრომას,
რბენას,
ფრენას?
არ გარგია ტრაბახი და
ბაქიობა ჩემო გელა!
ბრძენი ამბობს:—ბაქი-ბუქა
კაცის ჭკუის განაფერად:
— კაცი, კვეხნით ბარაქქელა,
საქმით არის არაფერა!



არჩილ ნულში
ბიჭური თქვა



სოლომონ ხათაფვილი

პაპულა

მკლავზე დამაჯდა ნაზი პეპულა,
გაიტრუნა და განაბა სული,
სელი დაფუსვი ფრთებზე ნელ-ნელა
და მოერიდა უმაღლე რული.
მე და პეპულამ ვიძინეთ ტუბილად,
არ შევუძალეთ ერთმანეთს სელი,
მერე ფანჯრიდან გაფუსვი ფრთხილად
და გაგატანე თან სუნთქვა ცხელი.



თუთიყუშ ჟაკოს თავბაღასაკალი

1911, 1912

მამუკა სალუშვაძე

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ირლანდიაში ჟაკომ გაიცნო ჯეიმს ო'ნილი — საბრალო ბარდი! მიუსაფარი, სულით ობოლი ბარდი დღითიდღე ჭკნებოდა დარდით. თავისი ქვეყნის მწარე წარსულს და უბედურ ანჰყოს დარდობდა ძლიერ, ეცოდებოდა ო'ნილს ერინი² დამონებული ინგლისის მიერ. მაინც ყოველდღე მამულს ლოცავდა და მზის ამოსვლა აიმედებდა, სწამდა, ოდესმე ირლანდიისთვის ბედი წყალობას გაიმეტებდა. და თუმცა მისი ლოცვა მოჰგავდა უდაბნოს შიგან ამოი ღაღაღს, მთლად უსაშველო განა რა არის, საშველი მუდამ არსებობს რაღაც. სწორედ ეს რაღაც, ჯეიმსისათვის თავდაუჩინებოთ სიმღერა გახლდათ, მაგრამ ყოველთვის მის ნამღერ ლექსებს მელანქოლია და სპლინი³ ახლდა. თურმე ამ ლექსებს სიმღერებისთვის თავადვე წერდა ჯეიმს ო'ნილი, ლექსებისათვის მელოდებზეც იყო მისივე გამოგონილი. თან გიტარაზე, მანდოლინაზე და ირლანდიურ ქნარზეც უკრავდა, უკრავდა ისე, რომ ყველა მსმენელს სუნთქვას უკრავდა და გულს უკლავდა. ის უმღეროდა თავის სამშობლოს და სიმღერებში გრძნობებს აქსოვდა,

ჟაკოს მოსწონდა ბარდის ნამღერი, ყველა სიმღერის ლექსიც ახსოვდა. ჯეიმს ო'ნილი თავის ლექსებში მხოლოდ წარსულზე კი არ ჰგოდებდა, არამედ ნამდვილ ირლანდიელებს მტერთან ბრძოლისთვის მოუწოდებდა. — შინ ფეინ!⁴ ძმებო, ჩვენ გავიმარჯვებთ! ბრძოლა გრძელდება, ბრძოლა არ წყდება; ოღონდ ვირწმუნოთ, ოღონდ გვეჯეროდეს, რომ ირლანდია არ დამარცხდება. განარისხებულმა ინგლისელებმა ბარდს ქურდობაში ცილი დასწამეს, დააპატიმრეს ჯეიმს ო'ნილი, ციხეში ჩასვეს და გაანაშენეს. ჟაკომ ძმობილი ბარდის დაკარგვით თიქოს იმედიც დაჰკარგა ხვალის და უსასრულოდ დაღონებული და ნაღვლიანი გაფრინდა ვალის⁵. იდგა ზამთარი, იყო ავღარი. ქარი და წვიმა სცემდა სახეში, იყო ნისლი და ჟაკს აღარ ახსოვს, თუ როგორ მოხვდა ძველ სასახლეში. საბედნიეროდ, ჩიტს ღია დახვდა ფანჯრებჩარახულ სასახლის კარი, თითქოს ელოდნენ სტუმრის მოფრენას, ხანსგადასული ცოლი და ქმარი. ქეთრინ ველინგტონს, ჭამის მოყვარულ გურმან ბანოვან, დაბალ, სქელ ლედის მუულღე ჰყავდა თხელი, გამხდარი აამხმარი, ხმელი, ნაღდი სკელეტი⁶.

სკელეტი გახლდათ სერ ჰერბერტ ველსლი,
 სიბერისაგან გამოფიტული,
 თუმცა არ აკლდა მოხუცს ქონება
 და უამრავი ჰქონდა ტიტული.
 ჩიტი სასახლეს ვერ შეეგუა
 და იმავ ღამით, თურმე ფარულად,
 ველინგტონების დაუკითხავად
 მინისქვეშა გზით გამოპარულა.

1. ბარდი — მოხეტიალე მგოსან-მომღერალი.
 2. ერინს ეძახიან ირლანდიელები ირლანდიას.
 3. მელანქოლია და სპლინი — სევდა და ნალღელი.
 4. შინ ფეინ — „ჩვენ თვითონ“, ლოზუნგი ირლან-
 დის თავისუფლებისათვის მებრძოლი შინფეინერებისა.
 5. ვალისი — ასე ეძახიან უელსელები უელსს.
 6. სკელეტი — ჩონჩხი.





ბარნოლ ბაგაშვილი

ცხოველი—ადამიანის გამზრდელი

ზოგჯერ ცხოველები ადამიანის მოდგმასაც შშობლობენ. შორეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს ლეგენდები და თქმულებები ცხოველთა მიერ გამოკვებილ ბავშვებზე.

უსათუოდ ნაგვიკთხავთ ცნობილი ინგლისელი მწერლის რედიარდ კიპლინის მოთხრობა „მაუგლი“, რომლის მთავარი გმირი მგლებმა გაზარდეს. და ალბათ გაინტერესებთ, შეიცავს თუ არა ეს მშვენიერი ზღაპარი თუნდაც მცირეოდენ ქუმარიტებას, მართლა შეიძლება თუ არა მგლებმა ბავშვი გაზარდონ? სხვათა შორის, ამაზე მოზარდების გარდა ბევრ მცენიერსაც უფიქრია.

1940 წელს ამერიკელმა პროფესორმა დ. ჯეზელმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც მოხსენიებული ყველა ჯუნგლებში ცხოველების მიერ გაზრდილი 32 „ველური“ ბავშვი; შემდგომი 10-20 წლის მანძილზე მცენიერთათვის ცნობილი გახდა კიდევ რამდენიმე ასეთი ფაქტი: აფრიკაში ნახეს ერთი სახეობის მაიმუნის — პავიანების მიერ გაზრდილი პატარა ბიჭი; 1956 წელს ინდოეთშიც აღმოაჩინეს ასეთი ბავშვი — ტყეში ორი მგლის თანხლებით ხალხმა შეინიშნა რვა წლის ბიჭუნა. როცა იგი დაიჭირეს, ადგილობრივმა მოსახლეობამ შუბლზე ნაჭდევით შეიძინო თანასოფელი ბიჭი, რომელიც 6 წლით ადრე, ორი წლისა, მოიტაცა მგელმა.

ნადირთა მიერ გაზრდილ ბავშვებს ყველაზე ხშირად ინდოეთში აწყდებიან, ეს შემთხვევითი როდია. ამ ქვეყანაში გარეული ცხოველები ადამიანს მაინცდამაინც არ ერი-

დებიან. ამას თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ინგლისელი დამპყრობლები, ეროვნულ ლეხსაც ხალხის შურისძიებისა ემინიშნებათ, ინდოელებს ეცხვსასროლი იარაღის ტარების ნებას არ აძლევდნენ. გარდა ამისა, ინდოელებს თავიანთი რელიგიური რწმენა უკრძალავს სულდგმულთა, მათ შორის გარეული ცხოველების ხოცვას. ყანაშიც რომ შევიდეს გარეული ღორი ან სპილო, თოფს არავინ ესვრის; სახელმწიფო სამსახურის გარდა ინდოეთში არავინ ერჩის თვით მოსავლის დაუძინებელ მტერს — კალიის ჯოგს.

კიდევ ერთი არსებითი მიზეზი იმისა, რომ ინდოეთში უფრო ხშირად ხვდებიან ცხოველების გაზრდილ ადამიანის ნაშთებს, ის არის, რომ აქ თბილი ჰავაა; ნამდვილი, თოვლიანი ზამთარი აქ არ იცის. ამიტომ აქაურ ულრან ტყეებში — ჯუნგლებში მოხვედრილ უმწეო ბავშვს არასოდეს ეშუქრება გაყინვა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის ატეხილ წინვოვან ტყეში — ტაიგაში ან კავკასიის მთიანეთში მარტოდ დარჩენილი ბავშვი გასაყინვად არის განწირული.



დაბოლოს, კიდევ ერთი რამ. პატარა ბავშვებს ყველაზე ხშირად მგლის ოჯახში პოულობენ. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვა ცხოველები არ იკედლებოდნენ ბავშვებს. უბრალოდ, ჩვილ ბავშვს გადარჩენის ყველაზე მეტი შანსი მგლის ოჯახში აქვს. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ დედალ-მამალი მგლები სრულიად თავისებურად კვებავენ ლეკვებს. ახალშობილს ძუ მგელი თავდაპირველად ძუძუს აწოვებს. როგორც კი ლეკერი წამოიზრდებიან, მშობლებს, უწინარესად ხვადს, ნაშეერთათვის ხორცი მოაქვთ. მაგრამ ხორცი მთლად უში როდია. როცა მშობლები რომელიმე ცხოველს მოინადირებენ, რამდენსაც შეძლებენ, შეჭამენ. რამდენიმე საათში მტაცებლის კუჭი მოინელვებს ხორცს; მშობელი მას კუჭიდან ამოიღებს და ლეკვებს ასეთ „ფაფას“ აძლევს, რადგან მგლის ლეკვის ორგანიზმს მხოლოდ ამგვარი ხორცის შეთვისება შეუძლია. ასეა ბავშვიც. იგი ვერ ინელვებს ვერც მცენარეულ საკვებს და მათ ნაყოფს, და ვერც, მით უმეტეს, უმ ხორცს. ჩვილობაში ადამიანს არ

გააჩნია უხვო საჭმლი გადამმუშავებული კუჭისა და ნაწლავების წვენი. „დედობრივ მამობილის“ მიერ კუჭში რამდენადმე გადამმუშავებულ საკვებს კი ბავშვი შეიძლება უკეთ ინელვებს იგი მგლის რძესაც. მაგრამ ჯუნგლებში გაზრდილ ბავშვთა ბედი მაინც უკიდურესად მძიმეა, ტრაგიკული. ეს იმიტომ, რომ ადამიანი მარტო ბიოლოგიური არსება კი არ არის, ესე იგი უბრალოდ კი არ არსებობს, არამედ სოციალური არსებაც არის — იგი არსებობს სხვა ადამიანებს შორის, საზოგადოებაში. ნადირთა შორის გაზრდილი ადამიანის უბედურება კი ის გახლავთ, რომ ცხოველთა გარემოში იგი ცხოველად იზრდება და არა ადამიანად. უდარდელ ბავშვობად მიჩნეული პირველი ექვსი-შვიდი წლის ასაკს, თურმე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს ყმანვილი ძალიან დიდ ცოდნას იძენს. ეს ის არსებითი ხასიათის ცოდნაა, რომელსაც, თუ თავის დროზე არ შეიძინე, მოწიფულობაში ძალიან ძნელად აინაზღაურებ.

იხილი ჯახუა

ნათია და ჭრიჭინა

ჭრიჭინა თუ აჭრიჭინდა,
 მერე ვისიმე სათრი აქვს?
 გაუთავებელ ჭრიჭინით
 ძილი გაუფრთხო ნათიანს.
 ბოლოს გაბრზდა ნათიაც,
 თუმცა არაა ბუტია:
 — ერთი მანახა სადა ხარ,
 ნეტავ სად დაგიბუღია?
 ამ აბეზარს და კუდიანს
 უჩინმანინის ქუდი აქვს?
 გაჩუმდი, წუთით მისმინე,
 იცნადე, ჭრიჭინობულაჲ,
 სულ რომ ძილს მიფრთხოვ,
 დღეიდან
 დაგარქმევ ძილიმფრთხოებულას!
 ამგვარად გახდა ნათია
 ჭრიჭინობულას ნათლია.



მხატვარი ელზარე აგომაჯაძე



აპარლო კომპარტმა

ფარეხი

აღბოთ ან თქვენ ნაგვიტხავეთ გაზეთში, ანდა უფროსებისაგან ნაკითხული დაახლოებით ასეთი წინადადება მოგისმენიათ: იმის ნაცვლად, რომ მანქანა იმ უდროო დროს ფარეხში მდგარიყო, მძღოლი თავის ნებაზე დააქროლებდაო. ერთხელ ნაცნობ მეყვამსს წაუფიქთხე და ძალიან გაიოცა, — რას ამბობ, კაცო, ფარეხში მანქანას რა უნდაო?! ჰო და ჰო, რა უნდა მანქანას ფარეხში! ფარეხში ცხვრისა და თხის ზამთრის სადგომია, მაგრამ მანქანის სადგომის შესატყვისი რაკი ვერ გამოწახებს, ადგენენ და მზამზარეული სიტყვა გამოიყენებს. რაღა თქმა უნდა, შეცდომაც არის და უხერხულობასაც ქმნის. გარაჟი რომ ეხმარათ, არ ივარგებდა, თუმცა გარაჟიც გადახურული სადგომია.

სიტყვამ მოიტანა და მოდი, ბარემ გავიხსენოთ, რომელი ცხოველის საზაფხულო თუ საზამთრო სადგომს რა ჰქვია. ფარეხზე უკვე ვთქვიო.

ცხვრისა და თხის საზაფხულო, შემოღობილ სადგომს კი ბაპი ჰქვია; ძროხისა და კამეჩის სადგომს — ბოსილი, გომი, მომცრო გომს — გომშური; ღორისას — საღორე, ჯოშხა; ცხენისას, ჯორისას (ჯორცხენისას), ვირისას (სახედრისას) — საჯინიბო, თაჰლა, ახორი;

კურდღლისას — საქურდღლი.
წვიმასა და თოვლში შესაფარებელს, მართო გადახურული რომ არის და კედლები არა აქვს, ნაშურალს ეძახით.

წინაური ფრინველებისას კი მართო ერთი სახელი აქვს — საძამთხე. თუმცა ხანდახან საბაბაძე გვხვდება.

ზოგჯერ შეიძლება ვინემე სანიხში ახსენოს, მაგრამ ეს იხვების სადგომს კი არ ნიშნავს, არამედ იმ ადგილს, სადაც გარეული იხვი ირევა. ამ სიტყვას უფრო მონადირეებისაგან გაიგონებთ. აი, საინდაურე კი არა გვაქვს. ინდაური გვიან გაჩნდა საქართველოში. ვიცი, იკითხავთ, როდის გაჩნდაო. ჰოდა, მეც ამიტომ გიყვებით: მეთვრამეტე საუკუნის

მიწურულს, ერთმა რუსმა ჯარისკაცმა მანამდე გაუფიქრა — უცნობი, უშნო, საკმაოდ მოზრდილი დედალ-მამალი ფრინველი აჩუქა საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი მეთორმეტეს. მეფეს არ მოეწონა ფრინველები და თვითონ სხვას აჩუქა. აქედან მომზარდა ეს ფრინველი საქართველოში და რაკი თურმე ინდოეთიდან იყო შემოყვანილი, ინდაური დაარქვეს. ლიტერატურაშიც ასე ჰქვია. დასავლეთ საქართველოში ინდაურს ეძახიან — ეს სახელი უფრო სწორია, მაგრამ ჩვენს სალიტერატურო ენაში ამ სახით არ დამკვიდრდა...

ახლა, მოდი, ისევ ჩვენს თავდაპირველ სათქმელს დაუბრუნდეთ: მანქანის დასაყენებელ სადგომს მხოლოდ გაზეთები უწოდებენ ფარეხს, ვერც კერძო საუბარში, ვერც რომელიმე მწერლის მოთხრობაში ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობით ვერ შეხვდებით. აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ენამ არ მიიღო. ენა არ იღებს, ჩვენ კი საგულდაგულოდ ვაძალებთ.

ვინაიდან უკეთესი შესატყვისი ჯერჯერობით არა გვაქვს, ფარეხის ნაცვლად აჯობებს, სიტყვა სადგომში გამოიყენებოთ. მართალია, სადგომი საკმაოდ ზოგადია, სამაგიეროდ მანქანასთან ერთად რომ ვიხმაროთ, — მანქანის სადგომი, უკვე ყველასათვის გასაგებია, ნათელი იქნება. მაშინ აღბათ აღარც ის ჩემი უცნობი მწყემსი გაიოცებს — რას ამბობ, კაცო, ფარეხში მანქანას რა უნდაო!



მსახვარი მღვარე ამოგება

დაბრუნება

მთის ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობ ბებიასთან. დედა არა მყავს, ბებოს ერთადერთი შვილი იყო დედაჩემი.

ბებია ხშირად მეფერება და იმედის ნაბერწყალს მეძახის.

გულით მიყვარს აქაური არემარე. გზიდან რომ უტკერი, ჩიტის ბუდეს ჰგავს ჩემი სოფელი. ჩვენს ქვემოთ, ფერდობზე, სხვა სოფლებიცაა შეფენილი. იქაური ძაღლები რომ რაიმე მიზნით აუფედებიან, იმათი ხმა ხანდახან ჩვენამდის აღწევს...

მამა ქალაქელი კაცია, იქ ცხოვრობს სხვა ქალთან. მე ხშირად მკითხავს.

ახლაც ზაფხული იწყებოდა, რომ მოულოდნელად დაგვადგა თავს. ჯერ ბებო გადაკონა, მერე მე, ზურგნატიდან ჩემთვის და ბებოსთვის საჩუქრები და ნაირნაირი ხილვეული ამოლაგა. კარგა დრო რომ გავიდა, მუხლებზე დამისვა და მეუბნება:—თვა, შენ კვიანი გოგო ხარ და გამიგებ. ამ მოხუცს, შვილო, შენი მოვლა აღარ შეუძლია, უნდა ქალაქში წაგიყვანო. ბებიასთან კი ხშირად ჩამოვალთ ხოლმე...

— წახვალ, შვილო?—ხმის კანკალით მკითხა ბებომ. მერე კი დასძინა:—წადი, წადი, ავიც ნახე და კარგიც ამ დალოცვილ ქვეყანაზე. ასე სჯობს.

...ფერდობი რომ ჩავათავეთ, ცაზე შვიი ღრუბლები აირია ... იქვეა, ჯერ აქა-იქ მსხვილი წვეთები წამოვიდა. მერე მოუმატა და წამოუშინა... ფეხს აეუქჩარეთ... ამ დროს საიდანღაც ძაღლის ყეფა შემოგვეხმა. ჩვენ იქით დავადექით გზას. პატარა ღელეს რომ გავცდით, სახლი დავინახეთ. ძაღლი საჩხუბში იდგა და ყეფდა. მის ხშირ წაბლისფერ ბაღანს ბოლოში მოწითალო ფერი დაჰკრავდა. ქიშკართან მისულები რომ დავინახა, გაჩუმდა.

მამამ თავისუფლად შეაღო ქიშკარი. ძაღლი კულის ქიციინით და წქმუტუნით შეგვეფეხა. მაგრამ მამაჩემის დაძახილზე სახლიდან არავის გამოუხედავს. მამამ ოდნავ შესხნილი კარი შეაღო და გამოძახა:—შემოდი, შვილო.

სახლი ორი თვალისაგან შედგებოდა, იატაკზე ფილაქანი ეგო. ბუხართან საცეცხლოური და რამდენიმე შეშის ნაჭერი ეგლო. მამამ ჯიბიდან ასანთი ამოიღო და ცეცხლი შეანთო... ირგ-



ლივ ყველაფერს მტვერი დასდებოდა. პატრონი არავინ ჩანდა... ცოტა ხანში წვიმამ გადაიღო, ცეცხლიც ჩანელდა. ცამ გადაიკარა და ჩვენც წასასვლელად მოვემზადეთ.

გზას რომ დავადექით, ძაღლი ეზოში იდგა და შემოგვეტყეროდა, მე ხელი დავუქნიე და ჩემდა უნებურად ხმამაღლა გავძახე გუნებაში შერქმეული სახელი—წითურა...

ძაღლი ადგილის მოწყდა და ჩემკენ გამოიქცა, მაგრამ ქიშკართან შედგა კულის ქიციინით. აქეთ ფეხი აღარ გადმოულგამს.

წინ წასულ მამაჩემს უგუნებოდ ავედენენ. მხარი რომ გავუსწორე, ვერ წამოვიღო-მეთქი, ჩავილაპარაკე და სოფლისაკენ შევეტრიალდი, სირბილით ავეყვიე ფერდობს... უკან აღარ მიმინებავს... ფერდობზე წითურას ყეფა მესმოდა. ქიშკარი რომ შევადე, ბებია ერთ ადგილას გაშეშდა, მერე ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა...

— ასეც ვიცოდი, ჩემო იმედის ნაბერწყალო!



იყო—არა იყო რა

ნანა ლვინვაძე

დედა სწილთ სუფრას შლის,
მამა წუაღსე წავიდა,
შვილი გაჭირვებულა:
სადილობა არ მინდა...
სწილოსაც ჰეაგს დეიდა,
სწილოსაც ჰეაგს მამიდა,—
აქეთ-იქით მიუსხდნენ,
აუკრძალეს წრიალი,
ამის ხათრით, იმის ხათრით,
შეაჭამეს წუნინი.
მაგრამ სწილოს ჭამის დროს
აუვარდა ხელებს,
ვევლა აფორიაქდა,

ვევლა თავზე ევლებს:—
გენაცვალოს დეიდა,
გენაცვალოს მამიდა,
სუჭველად დაცვად
ჭირვებულმა ამინდმა.
ჰა, ეს წვენი მიირთვი,
აღალი და აღალი!
და ჩუმჩუმად შეაპარეს
პაჭკორიას წამალი...
იყო—არა იყო რა,
არაკებს რა გამოთქვებს,
ჩემთა ცუკრუმელებო,
თამუნა და სალომე.

18.208

„ქიქის“ სამაგროვნო ქუჩის

ბრძანული გურგულაძე



ჩემი სახლი სოფელში



ბრძანული გურგულაძე

სტ. მხრ. დ. მარტოშვილი
სახ. სპ. ნიქოლაძე
ბიბლიოთეკა

კვლავ გასვდეს საუკუნეებს

ამ ბებერ ციხეს კულტრილად
 ნურვინ ჩაუვლით გვერდით,
 მრავალჯერ მოიგერია
 მტერი ღუდაბის მკერდით.
 ცოცხალი წინაპარია,
 მამულს იცავდა ფხიზლად,
 მომხდომი დუმანისაგან
 ბებერი სიცოცხლე იხსნა.
 უმკურნალებდგე, თუ რამ სჭირს
 დაფრდომილს ქამთა ღენით,
 კვლავ გასწვდეს საუკუნეებს
 მადლიერების რწმენით.
 ძეგლში ჩანს მამა-პაპათა
 უბადლო ნიჭის მადლი,
 ვიცოდეთ ძველი კულტურის
 და სელთყნების ვადრი!
 მარგალიტივით რომ ამკობს
 მრავალჭირნასულ მიწას—
 ძველი კულტურის ამ ძეგლებს
 თვით სასელმწიფო იცავს.
 ბებრსე ბებრია ქომაგი
 ციხე-კოშკის და ტაძრის,
 შემოუნახონ თაობებს
 ფასდაუღები განძი.
 შოგი კი—
 მოვლას ვინ ჩივის,—
 კედლებს ჯღახნის და კაწრავს,
 ამგვარი უკეთურები
 დასასჯელია მკაცრად!



საქართველოს ალკე (კვანძუ) ჯი
 ვ. ი. ლენინის სახელობის გამომცემ-
 თა ორგანიზაციის რედაქციის
 საბჭოს შურაში უმცროს-
 კლასისთვის.

გამოს. 1988 წლიდან.
 საქ. კა. ცა-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
 ენეპი ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: იმუხარე პაპო-
 ძაძი, მანანა პნოსი, ლანარა პა-
 პუა, მირი დანიანიშვილი, სოლო-
 მონე დემურხანაშვილი, ლილია
 ვიკაძე, ბელა ლოსაძეძიძე, მანანა
 გიგოვიშვილი, ჯურჯა ნადირაძე,
 მირიამ რიშინიშვილი (სამხატვრო
 რედაქტორი), თინათინ ზალაუარი (პ/შ,
 მდიანი), ვიკი ძინღაძე, ვიკი მუში-
 ნაძე, მარინე ხარაბიშვილი.

ბექიურა რედაქტორი
 ენდი წერეთელი

შესამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
 სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ-
 მთ. რედაქტორის 98-41-80, 98-99-15;
 პ/შ, მდიანის 98-10-82, 98-98-18; სახ.
 რედაქტორის — 98-98-18; განყოფილე-
 ბების: 98-98-19; 98-98-17.

ვადეცა ასაწეობად 80. 05. 88 წკ ხელ-
 შიწერილია დასაბეჭდად 28. 07. 88 წ.
 ქალაქის ზომა 80×90¹/₂. ფი. ნახ.
 ფურც. 2,5. ტირაჟი 188.000, შეკვეთა
 1888.

უფლებ ნახატ სრული
 პიფურაშვილისა.

«Дила» («Утро»), ежемесячный
 журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-
 зинского Республиканского Совета
 Всесоюзной пионерской организации
 им. В. И. Ленина для младшекласс-
 ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
 ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нишара-
 дзе (тел. 93-41-30).


Адрес редакции и издательства:
 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж
 168.000. Заказ № 1368.



კოსმოსი


ბიორგნი უმთავაური
 თოვლისა ჰგავს,
 პლანეტაებში
 შენაც გინახავს ალბათ,
 ზაფხულის მზეც კი ვერ აღნობს,
 თეთრად ქათქათებს




განიკა

ა. შოთაძე

ის ეშმაკუნა ფრინველი
 საბულარს როლი იკეთებს,
 ვერც ბარტყებს ეღირსებოდა,
 თუ არა სხევის სიკეთე,
 ანბანის ოკლაფეთხე
 ასოც მონახე, უპაწილო,
 პირველი მარცვლის მერვა
 ჩასამატებლად საჭირო.
 თანაც სიტყვიდან საწყისი
 ბგერაა გამოსაკლები —
 სევანეთის მალალ მთებშია
 ციხე-კოშკებით ნაგები.





აბა, თუ დაითვლი, ხულ რამდენი ბუშტია, და მათგან რამდენი უჭირავს გოგონას, რამდენი—ბიჭს; ან რომელ მათგანს შეხვდა ყველაზე დიდი ბუშტი, და რომელს—ყველაზე პატარა.